სახელმძღვანელო

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის (CEDAW) შესახებ

UN WOMEN

ავტორი: ეკატერინე სხილაძე

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადებულია გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „ქალთა ლიდერობა დემოკრატიისთვის საქართველოში“ (WILD) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება შვეიცარიის განვითრებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით.

წარმოდგენილი ინფორმაცია და მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ ავტორ(ებ)ს და შესაძლებელია არ ასახავდეს შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის პოზიციას.

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2024.

სახელმძღვანელო

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის (CEDAW) შესახებ

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

UN WOMEN

სარჩევი

აბრევიატურები 5

1. შესავალი 6

2. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მიმოხილვა 8

2.1. CEDAW კონვენციის მიღების წინაპირობა: ისტორიული ექსკურსი 8

2.2. CEDAW კონვენციის არსი და სტრუქტურა 9

2.3. კონვენციის დამატებითი ოქმი 10

2.4. CEDAW კომიტეტის საქმიანობა 11

2.5. ზოგადი რეკომენდაციები 12

ჩანართი: რატომ არის CEDAW კონვენციის განხორციელება მნიშვნელოვანი? 13

3. კონვენციით გათვალისწინებული ურთიერთმკვეთი საკითხები 14

3.1. თანასწორობა და დისკრიმინაციის აღმოფხვრა 14

3.2. ინტერსექციურობა (ჩაგვრის სხვადასხვა ფორმების ურთიერთქმედება) 15

3.3. გენდერული სტერეოტიპები 15

3.4. გენდერული მეინსტრიმინგი 16

3.5. დროებითი სპეციალური ზომები 16

4. კონვენციასთან კავშირში მყოფი თემატური სფეროები 18

4.1. CEDAW კონვენცია და მდგრადი განვითარების მიზნები 18

4.2. კონფლიქტის, ბუნებრივი კატასტროფების და პანდემიის კონტექსტი 19

4.2.1. ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება 19

4.2.2. ბუნებრივი კატასტროფები და კლიმატის ცვლილება 20

4.2.3. კორონა ვირუსის პანდემია 20

5. CEDAW კონვენციით დაცული ძირითადი უფლებები 22

5.1. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა 22

5.2. ქალთა ეკონომიკური მონაწილეობა და შრომის უფლება 23

5.3. ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა 24

5.4. სოციალური უფლებები: ჯანმრთელობა და განათლება 24

6. სახელმწიფოთა ვალდებულებები კონვენციის განხორციელების პროცესში 25

6.1. ზოგადი ვალდებულებები 25

6.2. პარლამენტის როლი 26

6.3. ადამიანის უფლებადაცვითი ეროვნული ინსტიტუტების როლი 27

6.4. არასამთავრობო ორგანიზაციების როლი 28

6.5. კონვენციის განხორციელების ბარიერები 29

7. კონვენციის ეფექტიანი განხორციელების ინდიკატორები 30

8. დასკვნა 32

დანართი N1: CEDAW კონვენციის მოკლე მიმოხილვა 33

აბრევიატურები

CEDAW	კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ
CEDAW კომიტეტი	ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი
CSOs	სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები
CSW	ქალთა სტატუსის კომისია
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
NHRIs	**ადამიანის უფლებადაცვითი ეროვნული ინსტიტუტები**
UN Women	გაეროს ქალთა ორგანიზაცია

1. შესავალი

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს შორის, კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) საკვანძო დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს სახელმწიფოთა საერთო სულისკვეთებას ქალთა უფლებების აღიარების, დაცვის და თანასწორობის მიღწევის მიმართულებით.

CEDAW კონვენციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც გლობალურ დონეზე, ისე საქართველოს უნიკალურ კონტექსტში. **კონვენცია** სახელმწიფოებისთვის განსაზღვრავს სახელმღვანელო ჩარჩოს პოლიტიკასა და პრაქტიკაში თანასწორობაზე დაფუძნებული მიდგომების გატარებისთვის. ხოლო, სამოქალაქო საზოგადოებისთვის ის ადვოკატირების მნიშვნელოვანი ინსტუმენტია, ეროვნულ დონეზე არსებული გამოწვევების გაჟღერებისა და გადაჭრის ხელშეწყობისთვის. საქართველოს კონტექსტში კონვენცია არ არის მხოლოდ სამართლებრივი ძალის მქონე დოკუმენტი; ის არის ქმედითი ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე გენდერული თანასწორობის მიღწევას და დისკრიმინაციის აღმოფხვრის ხელშეწყობას.

> **კონვენცია** – საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სახელმწიფოები იღებენ ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ვალდებულებას.

წინამდებარე სახელმძღვანელო მიზნად ისახავს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და მისი განხორციელებს ხელშეწყობას საქართველოში. სახელმძღვანელო მოიცავს კონვენციის და მისი თანმდევი დოკუმენტების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, ამასთან კონვენციის მიზნებს, დაცული უფლებების სფეროს მიმოხილვას და პრაქტიკულ რჩევებს მისი ეფექტიანი გამოყენებისთვის.

სახელმძღვანელო განკუთვნილია სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის, რომელთაც სურთ აიმაღლონ ცნობიერება კონვენციის, მისი ძირითადი პრინციპებისა და მიზნების შესახებ. ამასთან, სახელმძღვანელო ეფუძნება CEDAW კომიტეტის მიერ საქართველოს მიმართ გაცემულ რეკომენდაციას, გააძლიეროს ძალისხმევა კონვენციის, დამატებითი ოქმის და ზოგადი რეკომენდაციების ფართოდ გავრცელებისა და ცნობიერების ასამაღლებლად.[1]

სახელმძღვანელოში განხილულია როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს კონტექსტისთვის დამახასიათებელი პრაქტიკის მაგალითები. ამასთან, სახელმძღვანელოში წარმოდგენილია რეკომენდაციები და რჩევები რაც ვიმედოვნებთ, რომ ხელს შეუწყობს ეროვნულ დონეზე კონვენციის განხორციელების პროცესს.

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „ქალთა ლიდერობა დემოკრატიისთვის საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ.

1 CEDAW კომიტეტის შემაჯამებელი დასკვნები საქართველოს შესახებ. 2023. პარაგრაფი 10. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://digitallibrary.un.org/record/4007519?ln=en

რატომ არის სახელმძღვანელო მნიშვნელოვანი?

ყოვლისმომცველი აღქმა: სახელმძღვანელო გთავაზობთ CEDAW კონვენციის ყოვლისმომცველ განმარტებას, რაც მკითხველს შესაძლებლობას მისცემს გაითავისოს კონვენციის პრინციპები, კონვენციით განსაზღვრული უფლებები და მათი განხორციელების შედეგები. სახელმძღვანელო საგანმანათლებლო რესურსია, რომელსაც სამართლებრივ ტექსტებსა და მათ პრაქტიკულ გამოყენებას შორის არსებული სივრცის შემავსებელი დანიშნულება გააჩნია.

სამოქმედო სტრატეგიები: თეორიული მიმოხილვის მიღმა, აღნიშნული სახელმძღვანელო გთავაზობთ სტრატეგიებს კონვენციის ეფექტიანი განხორციელებისა და ამ პროცესში გასათვალისწინებელი გარემოებების შესახებ. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია პრაქტიკული ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს კონვენციის გამოყენებას როგორც სახელმწიფო, ისე სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების (CSOs) მიერ.

შესაძლებლობების გაძლიერება: სახელმძღვანელო წარმოადგენს შესაძლებლობების გაძლიერების და ცნობიერების ამაღლების რესურს დაინტერესებული პირებისთვის. სახელმძღვანელო გთავაზობთ კონვენციის განხორციელების პროცესში სახელმწიფოს ვალდებულებების, უფლებამოსილებების და შესაძლებლობების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, ამასთან, ხაზს უსვამს კოორდინაციის და ეფექტური თანამშრომლობის მნიშვნელობას როგორც უწყებათაშორის ისევე სამოქალაქო - საზოგადოებრივ და საერთაშორისო დონეებზე.

ინკლუზიურობა და მისაწვდომობა: სახელმძღვანელო შედგენილია იმგვარად, რომ აღქმადი და მისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის. დოკუმენტი არ მოიცავს სამართლებრივ ტერმინოლოგიას, რაც უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას მრავალფეროვანი აუდიტორიისთვის.

ადვოკატირების გაძლიერება: არასამთავრობო ორგანიზაციების და აქტივისტებისთვის აღნიშნული სახელმძღვანელო ადვოკატირების გაძლიერების ხელშემწყობი ინსტრუმენტია. დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია გამოყენებული იქნას მუშაობის პროცესში, როგორც არგუმენტირებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირების შესაძლებლობა.

გლობალურ მიზნებთან შესაბამისობა: საქართველომ CEDAW კონვენციის რატიფიცირებით გენდერული თანასწორობის მიღწევის პირობა დადო და აიღო ვალდებულება რომ ყველა ზომას გაატარებს კონვენციის ეროვნულ დონეზე განხორციელებისთვის. აღნიშნული სახელმძღვანელო ხელს უწყობს გლობალური მიზნების კონტექსტუალიზაციას ეროვნულ დონეზე და კონვენციის განხორციელებისთვის საჭირო ცოდნის გადმოცემას მისაწვდომი ფორმით, რაც პასუხისმგებელ პირებს შემდგომში დაეხმარება კონვენციის პრაქტიკულ გამოყენებაში.

2. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მიმოხილვა

2.1. CEDAW კონვენციის მიღების წინაპირობა: ისტორიული ექსკურსი

ქალთა უფლებების დაცვა და გენდერული თანასწორობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. გაეროს წესდების[2] პრეამბულის მიხედვით, ერთ-ერთ მიზნად განსაზღვრულია ქალის და კაცის თანაბარი უფლებებისადმი რწმენა. ხოლო, ამავე წესდების პირველი მუხლი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებს შორის სქესის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვას უსვამს ხაზს. ადამიანის უფლებათა საყოველთაო **დეკლარაცია**[3] დამატებით ადგენს კანონის წინაშე თანასწორობის, დისკრიმინაციის დაუშვებლობის და სახელმწიფოთა ვალდებულებებს თანასწორობის მიღწევის პროცესში.

დეკლარაცია – გადაწყვეტილება, რომელიც არ არის იურიდიულად სავალდებულო, მაგრამ აფუძნებს სტანდარტებს, რომელთა პატივისცემასაც კისრულობენ სახელმწიფოები.

მიუხედავად იმისა, რომ გაეროს მიერ არაერთი სხვა მავალდებულებული ძალის ხელშეკრულება[4] იქნა მიღებული, რომლებიც მოიცავენ თანასწორობის პრინციპებს, მსოფლიოში გენდერული უთანასწორობის მდგომარეობის გათვალისწინებით აღნიშნული საკმარისი არ აღმოჩნდა სახელმწიფოთა ვალდებულებების და პასუხისმგებლობის შესრულებისთვის. საერთაშორისოდ შეთანხმებული უფლებების განხორციელების ხელშეწყობისთვის 1946 წელს გაეროს სისტემაში შეიქმნა ქალთა სტატუსის კომისია (CSW), რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა დოკუმენტის და რეკომენდაციის მომზადებასა და სახელმწიფოთა შორის კონსულტაციების წარმართვას.[5]

ქალთა სტატუსის კომისიის მიერ, 1965 წელს დაიწყო დეკლარაციის მომზადება ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ[6], რომელიც მიღებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1967 წლის 7 ნოემბერს. აღნიშნული დეკლარაცია მხოლოდ ნებაყოფლობითი ანგარიშგების წესს ადგენდა სახელმწიფოებისთვის და არ ჰქონდა შესრულებისთვის სავალდებულო ძალა, ამასთან არ იძლეოდა დეტალურ ინფორმაციას უფლებების შესახებ. შესაბამისად, მოგვიანებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ შემუშავებულიყო

2 გაეროს წესდება, 1945. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://www.un.org/en/about-us/un-charter/full-text

3 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://shorturl.at/boDJ3

4 მაგალითად, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მიღებულია 1966 წლის 16 დეკემბერს) ხელმისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/xABR7

5 ინფორმაცია ქალთა სტატუსის კომისიის საქმიანობის შესახებ ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://www.unwomen.org/en/csw

6 დეკლარაცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ. 1967. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://shorturl.at/BKPW0

სახელმწიფოთათვის სავალდებულო ძალის მქონე ხელშეკრულება (კონვენცია).[7] კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1979 წელს მიიღო. საქართველომ კონვენციის **რატიფიცირება** 1994 წელს მოახდინა.[8]

რატიფიცირება – პროცესი, რომლის თანახმად სახელმწიფო კისრულობს ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებას.

2.2. CEDAW კონვენციის არსი და სტრუქტურა

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის არსი სცილდება მის სამართლებრივ მნიშვნელობას და პოლიტიკურ დატვირთვას იძენს. კონვენცია ადგენს სახელმწიფოთა ვალდებულებებს საზოგადოებაში დამკვიდრებული წინასწარგანწყობების და სტერეოტიპების ცვლილებისთვის, პოლიტიკური და სამართლებრივი ჩარჩოს თანასწორობის პრინციპებისადმი შესაბამისობის და ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერებისთვის. კონვენცია ქალთა უფლებების განმტკიცების ფუძემდებლურ დოკუმენტად მიიჩნევა და მის საფუძველზე სხვა არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი თუ ხელშეკრულება იქნა მიღებული.[9]

CEDAW კონვენცია მისი არსით არის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც სავალდებულოა მხოლოდ მონაწილე სახელმწიფოებისთვის. კერძოდ, სახელმწიფო კონვენციის რატიფიცირებით გამოხატავს თავის სურვილს და ნებას ეროვნულ დონეზე აღასრულოს კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები. მსგავსი ვალდებულებები ვრცელდება ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების ყველა შტოზე, აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებაზე.

კონვენცია მიზნად ისახავს ისეთი საზოგადოებების ჩამოყალიბების ხელშეწყობას, სადაც ქალები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში. კონვენციის ძირითადი პრინციპები ემყარება დისკრიმინაციის აკრძალვას, არსებითი თანასწორობის მიღწევას, ინკლუზიას და ინტერსექციურ მიდგომებს.[10]

კონვენცია მკაფიოდ ადგენს სახელმწიფოთა მიერ ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისა და ანგარიშგების მექანიზმს. **მონაწილე სახელმწიფოები** ვალდებულნი არიან რეგულარულად წარადგინონ ანგარიში კონვენციის განხორციელების პროგრესის

მონაწილე სახელმწიფოები მოიცავს იმ ქვეყნებს, რომელთაც მოახდინეს კონვენციის რატიფიცირება და მისი შესრულების ვალდებულება აიღეს.

7 ინფორმაცია კონვენციის ქვეყნების მიერ რატიფიცირების სტატუსის შესახებ ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://indicators.ohchr.org

8 შემდეგ ბმულზე ხელმისაწვდომია კონვენციის ტექსტი ქართულ ენაზე (ოფიციალური თარგმანი): https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5691899?publication=0

9 მაგალითად, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის პრეამბულის ტექსტში ხაზგასმულია CEDAW კონვენციის მნიშვნელობა. კონვენცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://rm.coe.int/168008482e

10 აღნიშნული საკითხები დეტალურად განხილული იქნება სახელმძღვანელოს მესამე ქვეთავში.

შესახებ და ჩაერთონ დიალოგის პროცესში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რომ CEDAW კონვენცია, ასევე, მოიცავს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური ჩართულობის მნიშვნელობას, მათ შორის, ადვოკატირების, ცნობიერების ამაღლების და კომიტეტისადმი ალტერნატიული ანგარიშგების მიმართულებით.

CEDAW კონვენციის სტრუქტურა მოიცავს პრეამბულას და 30 მუხლს. კონვენცია იწყება პრეამბულით, რომელიც გამოხატავს მონაწილე სახელმწიფოების საერთო ნებას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის, თანასწორობის ხელშეწყობის და ქალთა უფლებების დაცვის გარანტიების შექმნის მიმართულებით. კონვენციის მუხლები კი მოიცავს ქალთა უფლებების კონკრეტულ მიმართულებებს.

CEDAW კონვენციის მუხლები შესაძლოა დაჯგუფდეს შემდეგი მიმართულებებით:

დისკრიმინაციის განმარტება (პირველი მუხლი)	განმარტავს დისკრიმინაციას და ხაზს უსვამს მისი ყველა ფორმით გამოვლინების აღმოფხვრის აუცილებლობას.
ეროვნული ზომები დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად (მუხლები 2-5)	განსაზღვრავს სახელმწიფოების ვალდებულებებს დისკრიმინაციის აღმოფხვრისათვის. როგორიცაა, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ღონისძიებები, სოციალური და კულტურული ნორმების ცვლილება და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
სპეციალური ღონისძიებები (მუხლი 4)	ფაქტობრივი თანასწორობის მიღწევის დასაჩქარებლად სახელმწიფოთა მიერ შესაძლოა მიღებული იქნას დროებითი სპეციალური ზომები. აღნიშნული ზომების მიღება დისკრიმინაციად არ ჩაითვლება (მაგალითად, კვოტირების მექანიზმი).
თანასწორობის სამართლებრივი ჩარჩო (მუხლები 6-16)	მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ქორწინება და ოჯახური ურთიერთობები, პოლიტიკური მონაწილეობა, განათლება, დასაქმება და ჯანმრთელობა.
ანგარიშგება და მონიტორინგი (მუხლები 17-20)	ადგენს სახელმწიფოების ანგარიშგების ვალდებულებებს CEDAW კომიტეტის წინაშე. განსაზღვრავს კომიტეტის შექმნის და ფუნქციონირების წესს.

2.3. კონვენციის დამატებითი ოქმი

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, 1999 წლის 6 ოქტომბერს მიიღო დამატებითი ოქმი ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. დამატებითი ოქმის რატიფიცირებით სახელმწიფო აღიარებს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW კომიტეტი) კომპეტენციას, რომელიც ზედამხედველობს მონაწილე სახელმწიფოების მიერ კონვენციასთან შესაბამისობას და ახდენს მისი განხორციელების პროცესის შეფასებას.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი საქართველოს მიერ რატიფიცირებული იქნა 1994 წელს.

დამატებითი ოქმი მოიცავს ორ პროცედურას:

1 **კომუნიკაციის პროცედურა** საშუალებას აძლევს ქალებს, ან ქალთა ჯგუფებს, წარუდგინონ კომიტეტს კონვენციით დაცული უფლებების დარღვევის შესახებ საჩივარი. ოქმის მიხედვით, იმისთვის რომ ცალკეული კომუნიკაციები დაშვებული იყოს კომიტეტის მიერ განსახილველად, უნდა აკმაყოფილებდეს რიგ კრიტერიუმებს, მათ შორის, შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებები ამოწურული უნდა იყოს, არ უნდა იყოს ანონიმური და სხვა.

2 **მოკვლევის პროცედურა,** რომელიც კომიტეტს საშუალებას აძლევს დაიწყოს მოკვლევა ქალთა უფლებების მძიმე ან სისტემატური დარღვევის სიტუაციებზე. აღნიშნული გამოკვლევა ტარდება კონფიდენციალურობის დაცვით, და მონაწილე სახელმწიფოსთან თანამშრომლობის გზით საქმის შესწავლის ყველა ეტაპზე.

2.4. CEDAW კომიტეტის საქმიანობა

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW) არის დამოუკიდებელი ექსპერტების ორგანო, რომელიც ზედამხედველობას უწევს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის შესრულებას. CEDAW კომიტეტი შედგება 23 დამოუკიდებელი ექსპერტისგან ქალთა უფლებების საკითხებში მთელი მსოფლიოდან.

კომიტეტის საქმიანობა მოიცავს მონაწილე სახელმწიფოთა მიერ წარდგენილი ანგარიშების განხილვას, დამატებითი ოქმის ფარგლებში დადგენილი პროცედურების შესრულებას (ინდივიდუალური საჩივრების განხილვა და მოკვლევა). ამასთან, კომიტეტი უზრუნველყოფს საჯარო განხილვების, შეხვედრების და მოსმენების გზით სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებს შორის კოორდინაციის გაძლიერებას და დამოუკიდებელი ადამიანის უფლებადაცვითი მექანიზმების ჩართულობის უზრუნველყოფას. ასევე, კომიტეტი შეიმუშავებს ზოგად რეკომენდაციებს თემატური მიმართულებებით.

სახელმწიფოები, რომლებიც მოახდენენ კონვენციის რატიფიცირებას, იღებენ პასუხისმგებლობას კომიტეტთან თანამშრომლობის და მის წინაშე ანგარიშვალდებულების შესახებ. კერძოდ:

- სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ CEDAW კომიტეტის სრულყოფილი ინფორმირება რათა მოხდეს კონვენციის განხორციელების პროგრესის შეფასება;
- სახელმწიფოები წარადგენენ კონვენციის განხორციელების შესახებ ანგარიშს, 4 წლიანი ინტერვალით. ამასთან, მონაწილეობენ კომიტეტის მიერ ორგანიზებულ საჯარო განხილვებში, ანგარიშის შესახებ მოსმენებსა და დიალოგებში;
- სახელმწიფოები უზრუნველყოფენ კომიტეტის მიერ გაცემული შემაჯამებელი დასკვნების შესრულებას და შესრულების პროგრესის შესახებ ანგარიშგებას კომიტეტის წინაშე.

- კომიტეტის მიერ ინდივიდუალური საჩივრის განხილვის შემთხვევაში სახელმწიფოები ვალდებული არიან მიაწოდონ კომიტეტს სრული და ამომწურავი ინფორმაცია შემთხვევის შესახებ;
- კომიტეტის მიერ მოკვლევის განხორციელებისას ითანამშრომლონ კომიტეტთან და მიაწოდონ სრულყოფილი ინფორმაცია ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

დამატებითი რესურსები კომიტეტის საქმიანობის შესახებ[11]

CEDAW კომიტეტის ვებ-გვერდი მოიცავს დეტალურ ინფორმაციას კომიტეტის საქმიანობის, მონაწილე სახელმწიფოების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, სხვადასხვა სახელმძღვანელოების თუ რესურსების შესახებ. ამასთან, ვებ-გვერდზე შეგიძლიათ ნახოთ შემდეგი ინფორმაცია:

- ზოგადი რეკომენდაციები.
- კომიტეტის წინაშე ანგარიშგების სახელმძღვანელო დოკუმენტები.
- კომიტეტის შემაჯამებელი დასკვნები ყველა მონაწილე სახელმწიფოსთან მიმართებით.
- საქართველოს მიერ წარდგენილი ანგარიშები და კომიტეტის შემაჯამებელი დასკვნები.

2.5. ზოგადი რეკომენდაციები

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის 21-ე მუხლი უფლებას აძლევს CEDAW კომიტეტს გააკეთოს წინადადებები და ზოგადი რეკომენდაციები მონაწილე სახელმწიფოებისგან მიღებული ანგარიშებისა და ინფორმაციის შესწავლის საფუძველზე. წინადადებები, როგორც წესი, მიმართულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სააგენტოების მიმართ, ხოლო ზოგადი რეკომენდაციები მიმართულია მონაწილე სახელმწიფოებისთვის და აძლევს მათ კომიტეტის განმარტებას კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

ამ დროისთვის კომიტეტის მიერ 38 ზოგადი რეკომენდაციაა მიღებული[12]. ზოგადი რეკომენდაციების შემუშავების პროცესის პირველი ეტაპი მოიცავს ღია დიალოგს კომიტეტს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება რეკომენდაციის ტექსტის საბოლოო ვერსიის მომზადება და კომიტეტის მიერ მისი მიღება.

11 Inter-Parliamentary Union, 2023. Handbook for Parliamentarians No. 36.

12 ზოგადი რეკომენდაციების ხილვა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: https://shorturl.at/szAF8

ჩანართი: რატომ არის CEDAW კონვენციის განხორციელება მნიშვნელოვანი?[13]

ქალთა მიმართ დისკრიმინაცია ყველა ტიპის საზოგადოებაში ხდება, გამონაკლისი არც საქართველოა. ამასთან:

	მსოფლიო მასშტაბით, ყოველწლიურად, 245 მილიონი ქალი და გოგო ხდება ფიზიკური ანდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ინტიმური პარტნიორის მხრიდან;
	ყოველი ხუთი ახალგაზრდა ქალიდან ერთი გოგო დაქორწინებულია 18 წლამდე. რაც მსოფლიო მასშტაბით 19%-ს შეადგენს.
	გლობალურად, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მაჩვენებელი ძალიან დაბალია. ქალები იკავებენ მხოლოდ 26.7%-ს პარლამენტებში, 35.5%-ს ადგილობრივ ხელისუფლებაში და 28.2 % მენეჯერულ პოზიციებს დასაქმების ადგილზე.
	ქალები ხარჯავენ 2.8 საათით მეტ დროს კაცებთან შედარებით აუნაზღაურებელი შრომის, შინ შრომის და ზრუნვის ტვირთის შესრულებაში.
	კონფლიქტის შედეგად დაზარალებული გოგოების და ქალების რაოდენობამ 2022 წლის მონაცემებით 614 მილიონს მიაღწია, რაც 50%-ით აღემატება 2017 წლის მონაცემებს.
	ქალები შრომით წარმოქმნილი გლობალური შემოსავლის მხოლოდ მესამედს იღებენ. ყოველ ერთ დოლარზე, რომელსაც კაცი შრომით გამოიმუშავებს, ქალების შემოსავალი 51 ცენტია.

13 Snapshot of gender equality across the Sustainable Development Goals. UN Women and United Nations Department of Economic and Social Affairs, Statistics Division 2023. Available at: https://shorturl.at/jEKM4

3. კონვენციით გათვალისწინებული ურთიერთმკვეთი საკითხები

დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და გენდერული თანასწორობის მისაღწევად კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) მოიცავს ურთიერთმკვეთ საკითხებს, რომლებიც სცილდება ცალკეულ მუხლებს. ეს საკითხები, გამჭოლ ხაზად გასდევს კონვენციის მთლიან ტექსტს და თანაბარი უფლებებით და შესაძლებლობებით სარგებლობისთვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

3.1. თანასწორობა და დისკრიმინაციის აღმოფხვრა

CEDAW კონვენციის ფუნდამენტური პრინციპი არის არსებითი თანასწორობა. კონვენციის პირველი მუხლი ადგენს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის აუცილებლობას, ხოლო მე-2 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს მიიღონ ზომები დისკრიმინაციის აღმოფხვრის და არსებითი თანასწორობის უზრუნველყოფისთვის. მე-5 მუხლი დამატებით ხაზს უსვამს სოციალური და კულტურული განწყობების ცვლილებების აუცილებლობას, რომლებიც ხელს უწყობენ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას.

CEDAW კომიტეტის განმარტებით, კონვენციის ტექსტში აღნიშნული სქესის ნიშნით დისკრიმინაცია უნდა განიმარტოს ფართოდ - როგორც გენდერის ნიშნით დისკრიმინაცია, რომელიც მოიცავს არამხოლოდ ბიოლოგიურ განსხვავებებზე დაფუძნებულ დისკრიმინაციულ პრაქტიკებს, არამედ გენდერის სოციალური აღქმის სხვა ელემენტებსაც (მაგალითად, საზოგადოებაში დაწესებული გენდერული ნორმები, სტერეოტიპები და დამოკიდებულებები რომლებიც ქალს და კაცს განსხვავებულ პირობებში ამყოფებს.)[14]

კომიტეტი ქალების მიმართ **პირდაპირ დისკრიმინაციას** განმარტავს როგორც განსხვავებულ მოპყრობას, რომელიც მკაფიოდაა დაფუძნებული სქესსა და გენდერზე და არათანაბარ ვითარებაში ამყოფებს ქალებს. ქალების მიმართ **არაპირდაპირი დისკრიმინაცია** ვლინდება, როდესაც კანონი, პოლიტიკა, პროგრამა ან პრაქტიკა არის ნეიტრალური, როდესაც საქმე ეხება ქალებსა და კაცებს, მაგრამ გააჩნია ქალებზე დისკრიმინაციული ზემოქმედება პრაქტიკაში.[15]

პირდაპირი დისკრიმინაციის მაგალითია ოჯახური მდგომარეობის გამო (ორსულობა, შვილების ყოლა და სხვა) დასაქმებაზე უარის თქმა ქალისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისთვის სერვისებზე ფიზიკური მისაწვდომობის პრობლემა და სხვა.

არაპირდაპირი დისკრიმინაციის მაგალითია, როდესაც დაწესებულება კრძალავს თანამშრომლების მხრიდან თავსაბურავის ტარებას. ეს წესი ერთი შეხედვით ყველას ეხება, თუმცა უთანასწორო პირობებში აყენებს მათ, ვისაც მრწამსის გამო სურთ თავსაბურავის ტარება.

კონვენციის წევრი ქვეყნების ვალდებულებები დისკრიმინაციის აღმოფხვრის და თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით

14 ზოგადი რეკომენდაცია N 28 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მეორე მუხლის მიხედვით წევრი ქვეყნების ძირითადი ვალდებულებები. 2010.

15 Ibid. Para 16.

მოიცავს მათ მიერ ქალების დისკრიმინაციისგან დაცვისა და კაცებთან თანასწორად უფლებებით სარგებლობის უფლების პატივის ცემას, დაცვას, ხელშეწყობასა და შესრულებას.

3.2. ინტერსექციურობა (ჩაგვრის სხვადასხვა ფორმების ურთიერთქმედება)

CEDAW აღიარებს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ურთიერთკავშირს ჩაგვრის სხვა ფორმებთან. პირველი მუხლი აღიარებს, რომ დისკრიმინაცია შეიძლება იკვეთებოდეს ისეთ ფაქტორებთან, როგორიცაა რასა, ეთნიკური წარმომავლობა, კლასი ან შეზღუდული შესაძლებლობა. აღნიშნული ხაზს უსვამს ყოვლისმომცველი მიდგომის გატარების აუცილებლობას ქალთა სხვადასხვა ჯგუფების გამოცდილებების გათვალისწინებით.

CEDAW კომიტეტი მიიჩნევს, რომ ინტერსექციურობა არის ძირითადი კონცეფცია მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულებების აღქმისთვის. ყველა სახელმწიფომ უნდა იმოქმედოს აღნიშნული პრინციპით რათა დისკრიმინაციის და ჩაგვრის არცერთი ფორმა არ დარჩეს ყურადღების მიღმა. კომიტეტის განმარტების მიხედვით, სქესსა და გენდერზე დაფუძნებული დისკრიმინაცია განუყოფლადაა დაკავშირებული სხვა ფაქტორებთან, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ქალებზე, როგორიცაა რასა, ეთნიკურობა, რელიგია ან რწმენა, ჯანმრთელობა, სტატუსი, ასაკი, კლასი, კასტა და სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა. სექსსა და გენდერზე დაფუძნებულმა დისკრიმინაციამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ქალებზე, რომლებიც მიეკუთვნებიან ასეთ ჯგუფებს, სხვადასხვა ხარისხით ან კაცებისგან განსხვავებულად. წევრმა ქვეყნებმა სამართლიანად უნდა აღიარონ დისკრიმინაციის ასეთი ურთიერთგადამკვეთი ფორმები და განახორციელონ პოლიტიკა და პროგრამები, რომლებიც შედგენილია ასეთი აღმოჩენების აღმოსაფხვრელად.[16]

3.3. გენდერული სტერეოტიპები

გენდერული თანასწორობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ბარიერია გენდერული სტერეოტიპების არსებობა. CEDAW კონვენცია მოუწოდებს სახელმწიფოებს „შეცვალონკაცთა და ქალთა ქცევის სოციალური და კულტურული მოდელები ცრურწმენათა აღმოფხვრის და და ყველა იმ ჩვეულებისა და პრაქტიკის გაუქმების მიღწევის მიზნით, რომლებიც ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის, ანდა კაცებისა და ქალების როლის სტერეოტიპულობის იდეას ეფუძნება.“[17]

გენდერული სტერეოტიპი არის განზოგადებული შეხედულება ან წინასწარი წარმოდგენა მახასიათებლებზე, ან იმ როლებზე, რომლებსაც უნდა ფლობდნენ ან უნდა შეასრულონ ქალებმა და კაცებმა. აღნიშნული მოიცავს შესაძლებლობების შესახებ აღქმებსაც, თუ რა პროფესია უნდა აარჩიონ/როგორ უნდა გააკეთონ დასაქ-მების არჩევანი, როგორ გამოიყურებოდნენ და სხვა. (OHCHR, 2023).

16 Ibid. Para 18.

17 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია. 1979. მუხლი 5.

გენდერული სტერეოტიპები ნეგატიურ გავლენას ახდენს როგორც პირად ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. მათი გავლენა ნეგატიურია როგორც ქალებზე, ისე კაცებზე. თუმცა მსოფლიოში არსებული ტენდენციების მიხედვით, ყველაზე ნეგატიურად სტერეოტიპები ქალების და გოგოების უფლებრივ მდგომარეობაზე აისახება. პირადი ცხოვრებაზე სტერეოტიპების გავლენის ნათელი მაგალითია ადრეულ ასაკში და ბავშვთა ქორწინების პრაქტიკა. ამასთან, ოჯახში ძალადობის შემთხვევები ხშირად ქალის გენდერული როლის მიმართ არსებულ წარმოდგენებს ეფუძნება (როგორ გამოიყურება, როგორ ახორციელებს ზრუნვის შრომას და სხვა).

CEDAW კომიტეტის მიხედვით, სტერეოტიპული აღქმა, მათ შორის მედიის მიერ, ქალებს პოლიტიკურ ცხოვრებაში ზღუდავს ისეთი საკითხებით, როგორებიც არის გარემოს დაცვა, ბავშვები და ჯანმრთელობა, და არ აძლევს მათ შესაძლებლობას, აიღონ პასუხისმგებლობა ფინანსურ, საბიუჯეტო კონტროლისა და კონფლიქტების მოგვარების სფეროებში.[18]

3.4. გენდერული მეინსტრიმინგი

CEDAW კონვენცია აძლიერებს გენდერული მეინსტრიმინგის მნიშვნელობას, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს ყველა პოლიტიკასა და პროგრამაში გენდერული პერსპექტივების ასახვისათვის სტრატეგიულ მიდგომას. კონვენციის მე-3 მუხლი მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს მიიღონ ზომები ქალების წინსვლის უზრუნველსაყოფად საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

გენდერული მეინსტრიმინგი არის სტრატეგია, მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის მიღწევის ხელშეწყობას გენდერული პერსპექტივების და ხედვების ინტეგრირებით ყველა ტიპის საქმიანობაში. იქნება ეს პოლიტიკის შემუშავება, კვლევა, ადვოკატირება, კანონმდებლობა თუ სხვა. მა-გალითისთვის, გენდერული მეინსტრიმინგი გულისხმობს არა მხოლოდ ცალკეული პოლიტიკის წარმოებას გენდერული თანასწორობის მისაღწევად, არამედ გენდერუ-ლი საკითხების ინტეგრირებას ყველა სხვა პოლიტიკაში. მაგალითად, სოფლის მეურ-ნეობა, ჯანდაცვა და სხვა.

3.5. დროებითი სპეციალური ზომები

CEDAW კონვენცია აღიარებს, რომ ქალების გარკვეულ ჯგუფები ისტორიულად ექვემდებარებიან სისტემური ხასიათის დისკრიმინაციას. სწორედ ამიტომ, კონვენცია იძლევა დროებითი სპეციალური ზომების მიღების საშუალებას. მე-4 მუხლის მიხედვით, მსგავსი ზომები არ განიხილება დისკრიმინაციად, არამედ მოიაზრება როგორც აუცილებელი ქმედებები დე ფაქტო თანასწორობის მიღწევის დასაჩქარებლად.

18 ზოგადი რეკომენდაცია N23 პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება. 1997. Para 12.

დროებითი სპეციალური ზომების განხორციელება მოიცავს იმ სფეროების იდენტიფიცირებას, სადაც ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი და შემდგომ მიზანმიმართული ღონისძიებების განხორციელებას არსებითი თანასწორობის ხელშესაწყობად.

CEDAW კომიტეტის განმარტებით, წევრი ქვეყნების მიერ მიღებული ზომები მიმართული უნდა იყოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო თუ სხვა სფეროებში ქალების თანასწორი მონაწილეობის დაჩქარებისაკენ. კომიტეტი განიხილავს ამ ზომების გამოყენებას არა როგორც დისკრიმინაციის აკრძალვის გამონაკლისს, არამედ როგორც ხაზგასმას, რომ დროებითი საშუალებები არის წევრი ქვეყნების აუცილებელი სტრატეგიის ნაწილი, რომლებიც მიმართულია თანასწორობის მიღწევისაკენ. კომიტეტი ასევე ითვალისწინებს, რომ წევრი ქვეყნები, რომლებიც მიიღებენ და დანერგავენ ასეთ ზომებს კონვენციის მიხედვით, არ ახდენენ დისკრიმინაციას კაცების მიმართ.[19]

საქართველოში დროებითი სპეციალური ზომის სახით გენდერული კვოტირების მექანიზმი არსებობს, რომელიც მიზნად ისახავს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობას. საერთაშორისო მაგალითებიდან აღსანიშნავია დასაქმების ადგილზე არსებული გენდერული კვოტები ან კვოტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის, რისი მთავარი მიზანიც არსებული უთხანასწორობის სწრაფი ტემპებით აღმოფხვრაა. სწორედ ამიტომ CEDAW კომიტეტი მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს განიხილონ დროებითი სპეციალური ზომების მიღება თანასწორობის მიღწევის დაჩქარების მიზნით.[20]

დროებითი სპეციალური ღონისძიებები მიზნად ისახავს ქალთა წარმომადგენლობის გაზრდას სხვადასხვა სფეროში. ამასთან, ქალებს და კაცებს შორის რესურსების და ძალაუფლების არათანაბარი გადანაწილების შემცირებას. დროებითი სპეციალური ზომების გამოყენება გავრცელებულია ისეთ სფეროებში, როგორიცაა პოლიტიკური მონაწილეობა, განათლება ან დასაქმება, მაგრამ მათი მიღება შესაძლებელია სხვა სფეროებშიც, კერძოდ, საბანკო-საფინანსო, სპორტისა და კულტურის სფეროებში!

19 ზოგადი რეკომენდაცია N25 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-4 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებაში, დროებითი სპეციალური ზომები. 2004. P. 18.

20 Ibid.

4. კონვენციასთან კავშირში მყოფი თემატური სფეროები

4.1. CEDAW კონვენცია და მდგრადი განვითარების მიზნები

2015 წელს მსოფლიო საზოგადოებამ მიაღწია მნიშვნელოვან ეტაპს მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის მიღებით, რომელიც წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობის ყოვლისმომცველ რუკას. მდგრადი განვითარების მიზნები და მის მისაღწევად განსაზღვრული ამოცანები სრულად ეხმიანება CEDAW კონვენციის სულისკვეთებას და უფრო მეტიც, პრაქტიკულ ნაბიჯებს სახავს კონვენციის ეფექტიანი აღსრულებისთვის.

გენდერული თანასწორობის, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლების და მდგრადი განვითარების მთავარი ხელშეწმყობად დანახვა CEDAW კონვენციასა და მდგრადი განვითარების მიზნების სინერგიის მაჩვენებელია. ერთი მხრივ, CEDAW უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ ჩარჩოს გენდერული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, ხოლო მეორე მხრივ, მდგრადი განვითარების მიზნები გვთავაზობს უფრო ფართო კონტექსტს მდგრადი განვითარების მისაღწევად.

გენდერული თანასწორობის მიღწევა, როგორც ასახულია CEDAW კონვენციაში, ნათლად არის დაკავშირებული მდგრადი განვითარების მიზნებთან. მაგალითისთვის, კონვენციით განსაზღვრული ქალთა გაძლიერების პრინციპი, ხელს უწყობს ისეთი მიზნების მიღწევას, როგორიცაა სიღარიბის აღმოფხვრა, ხარისხიანი განათლება და ჯანმრთელობის გაუმჯობესებული შედეგები. გარდა ამისა, მდგრადი განვითარების მიზნების დევიზი - არავინ დარჩეს მიღმა - ეხმიანება CEDAW სულისკვეთებას ქალთა სხვადასხვა ჯგუფების უფლებების წინ წამოწევის და დაცვისთვის.

CEDAW კონვენციასა და მდგრადი განვითარების მიზნებს შორის კავშირის დასანახად რამდენიმე მაგალითის განხილვა შეგვიძლია:

CEDAW კონვენციის მე-11 მუხლი ეხება შრომის უფლებას და ხაზს უსვამს კაცებისა და ქალების თანაბარ შესაძლებლობებს დასაქმებაში. აღნიშნულს ეხმიანება მდგრადი განვითარების მიზანი 8, რომელიც მოიაზრებს ინკლუზიურ და მდგრად ეკონომიკურ ზრდას.

CEDAW კონვენციის მე-12 მუხლი მოიცავს ქალთა უფლებას ჯანმრთელობაზე, ოჯახის დაგეგმვის სერვისების ჩათვლით. აღნიშნული შეესაბამება მდგრადი განვითარების მე-3 მიზანს (კარგი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა), მთავრობების ვალდებულებას პრიორიტეტი მიანიჭონ ხელმისაწვდომ ჯანდაცვის სერვისებს, ოჯახის დაგეგმვის ჩათვლით, მათ შორის რეპროდუქციულ ჯანმრთელობის სერვისებზე მისაწვდომობას.

CEDAW კონვენციის მე-14 მუხლი აღიარებს სოფლად მცხოვრები ქალების მნიშვნელობას და მათი უფლებების დაცვის გარანტიების არსებობის აუცილებლობას რაც შესაბამისობაშია მდგრადი განვითარების მე-2 მიზანთან, რომელიც ხაზს უსვამს სურსათის უსაფრთხოების, მდგრადი სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების აუცილებლობას. მათ შორის, მთავრობების მიერ იმგვარი პოლიტიკის განხორციელებას უწევს რეკომენდაციას, რომელიც მიემართება სოფლად მცხოვრები ქალების სპეციფიკურ გამოწვევებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მათ რესურსებზე, განათლებასა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის ზრდას.

4.2. კონფლიქტის, ბუნებრივი კატასტროფების და პანდემიის კონტექსტი

4.2.1. ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება

განსაკუთრებით დიდია კონფლიქტური სიტუაციების გავლენა ქალების და გოგოების უფლებრივ მდგომარეობაზე. გარდა ფიზიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკებისა, ქალები ხშირად ექვემდებარებიან გენდერული ნიშნით ძალადობას და მათი მოწყვლადობა სხვადასხვა სერვისებისადმი მისაწვდომობის თვალსაზრისით იზრდება.

გაეროს უშიშროების საბჭომ ქალების და გოგოების წინაშე არსებული გამოწვევების და კონფლიქტურ თუ პოსტკონფლიქტურ პირობებში სახელმწიფოთა ვალდებულებების ხაზგასმისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი რეზოლუცია მიიღო. მათ შორის აღსანიშნავია რეზოლუცია 1325 ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება, რაც ისტორიულ ნაბიჯად შესაძლოა შეფასდეს აღნიშნული მიმართულებით. ამასთან, განვითარებამ და მსოფლიოში არსებულმა გამოწვევებმა გაეროს უშიშროების საბჭოს წინაშე სხვა რეზოლუციების მიღების აუცილებლობაც დააყენა, შესაბამისად თანმდევი რეზოლუციები მიღებული იქნა შემდეგი თანმიმდევრობით: 1820 (2008), 1888 (2009), 1889 (2009), 1960 (2010), 2106 (2013), 2122 (2013), 2242 (2015), 2467 (2019), 2467 (2019).

ერთობლივად, აღნიშნული რეზოლუციები აყალიბებს გაეროს უშიშროების საბჭოს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ყოვლისმომცველ დღის წესრიგს. თითოეული რეზოლუცია ეხება კონკრეტულ სფეროებს, რომლებიც გადამწყვეტია ქალებისა და გოგოების დაცვისა და გაძლიერებისათვის როგორც კონფლიქტურ, ასევე პოსტკონფლიქტურ ვითარებაში. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების რეზოლუციები ხაზს უსვამს ქალთა და გოგოების დაცვისა და გაძლიერების აუცილებლობას. ისინი მოუწოდებენ სახელმწიფოებს გენდერული განზომილებები გაითვალისწინონ კონფლიქტების პრევენციაში, სამშვიდობო მოლაპარაკებებსა და პოსტკონფლიქტურ რეკონსტრუქციაში. გარდა ამისა, რეზოლუციები მხარს უჭერენ გენდერული ძალადობის პრევენციას და რეაგირებას, აღიარებენ მას, როგორც გავრცელებულ გამოწვევას კონფლიქტის დროს.

2013 წელს CEDAW კომიტეტმა მიიღო ზოგადი რეკომენდაცია N30 ქალების შესახებ კონფლიქტის პრევენციის, კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში. აღნიშნული დოკუმენტით კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოებს, რომ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებისას სათანადო ყურადღება დაუთმონ ქალებისა და გოგოების დაცვის დამატებით მექანიზმებს, რომლებიც გამომდინარეობს საერთაშორისო

ჰუმანიტარული, ლტოლვილთა და სისხლის სამართლიდან.[21] ამასთან, ზოგადი რეკომენდაციით კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოებს გააძლიერონ თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ ქალების, მშვიდობის და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებაზე.[22]

4.2.2. ბუნებრივი კატასტროფები და კლიმატის ცვლილება

CEDAW კომიტეტის მიდგომა კატასტროფების რისკის შემცირების მიმართ მოცემულია მის ზოგად რეკომენდაციაში N37, რომელიც მოუწოდებს სახელმწიფოებს მიღებულ იქნას გენდერულად მგრძნობიარე კანონმდებლობა, განხორციელდეს გარემოსდაცვის გენდერულად მგრძნობიარე ზედამხედველობა, შესაბამისი ბიუჯეტის გამოყოფა და მოხდეს კატასტროფის რისკების შემცირების და კლიმატის ცვლილების შემცირების მცდელობებში ქალთა მონაწილეობის და ჩართულობის უზრუნველყოფა.

კომიტეტი ხაზს უსვამს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გამოწვევების არაპროპორციული ზემოქმედებას ქალებსა და გოგოებზე. კერძოდ, კრიზისული სიტუაციები აღრმავებს არსებულ გენდერულ უთანასწორობას და აძლიერებს ქალებისა და გოგოების დისკრიმინაციას სხვადასხვა ფაქტორების საფუძველზე, როგორიცაა ასაკი, ეკონომიკური მდგომარეობა, ეთნიკური წარმომავლობა და სხვა.

4.2.3. კორონა ვირუსის პანდემია

კორონა ვირუსის გავრცელების პარალელურად გამწვავდა გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებრივი მდგომარეობა. კოვიდ პანდემიამ არა მხოლოდ გააღრმავა არსებული უთანასწოროებები არამედ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა სრულიად საზოგადოება. მათ შორის ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის, ეკონომიკური მონაწილეობის და სოციალური უსაფრთხოების მიმართულებებით.

სხვადასხვა კვლევები ცხადყოფს, რომ ქალები არაპროპორციულად დაზარალდნენ პანდემიის გავლენით, რადგან ხშირად სწორედ ისინი წარმოადგენდნენ ფრონტის ხაზის მუშაკებს ექიმების, ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლების, მასწავლებლების სახით. სკოლების დახურვამ კიდევ უფრო მეტად გაზარდა ქალების შინშრომის და ზრუნვის ტვირთი. ამასთან, პანდემიის დროს არსებულმა შეზღუდვებმა გაზარდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მაჩვენებელი და ბევრი ქალი სერვისების მიღმა დარჩა ტრანსპორტთან და გადაადგილებასთან დაკავშირებული შეზღუდვების ანდა თავად ამ სერვისების დროებითი შეჩერების გამო.

CEDAW კომიტეტი საკმაოდ პროაქტიული აღმოჩნდა და ქვეყნებისთვის გამოსცა დეტალური მითითებები ქალთა უფლებების დაცვის მიმართულებით პანდემიის დროს. მიუხედავად იმისა, რომ პანდემია ამ დროისთვის დასრულებულია სახელმძღვანელო მითითებები ყველა სხვა მსგავსი კრიზისის დროს შესაძლოა იქნეს გამოყენებული. სახელმძღვანელო მითითებები[23] მოიცავს სხვადასხვა ზომებს, მათ შორის:

21 ზოგადი რეკომენდაცია N30 ქალების შესახებ კონფლიქტის პრევენციის, კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში. 2013.

22 Ibid. Para 28.

23 სახელმძღვანელო მითითებები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://shorturl.at/irLM6

- კომიტეტი მიუთითებს რომ სახელმწიფოებმა უნდა გამოყოს რესურსები ინიციატივებისთვის, რომლებიც კონკრეტულად ეხება ქალებზე პანდემიის გავლენას. ეს მოიცავს დაფინანსებას ჯანდაცვის, ეკონომიკური მხარდაჭერისა და სოციალური მომსახურებისთვის, რომელიც მორგებულია ქალთა საჭიროებებზე.
- სახელმძღვანელო ხაზს უსვამს პანდემიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ქალთა წარმომადგენლობისა და მონაწილეობის მნიშვნელობას. სახელმწიფოებს მოუწოდებენ, უზრუნველყონ ქალების ჩართვა დაგეგმვასა და პოლიტიკის შემუშავებაში, რათა უზრუნველყონ მათი პერსპექტივების გათვალისწინება.
- კრიზისების დროს გენდერული ძალადობის გაზრდილი რისკის გათვალისწინებით, სახელმძღვანელო რეკომენდაციას აძლევს სახელმწიფოებს მიიღონ ზომები ქალებისა და გოგოების ძალადობისაგან დასაცავად. ეს გულისხმობს საკანონმდებლო ბაზის გაძლიერებას, დამხმარე სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და ძალადობის ძირეული მიზეზების აღმოფხვრას.
- კომიტეტი სახელმწიფოებს მოუწოდებს პრიორიტეტი მიანიჭონ ჯანდაცვასა და განათლებას, იმის გათვალისწინებით, რომ პანდემიის არაპროპორციული გავლენა აქვს ამ სფეროებში ქალებისა და გოგოების უფლებრივ მდგომარეობაზე. აღნიშნული ასევე მოიცავს რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.
- სახელმძღვანელო მიუთითებს, რომ სახელმწიფომ ყურადღება უნდა გაამახვილოს ზომებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ქალების სოციალურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას, განსაკუთრებით თვითდასაქმებული და არაფორმალურად დასაქმებული ქალებისთვის.

5. CEDAW კონვენციით დაცული ძირითადი უფლებები

5.1. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია განსაკუთრებით გამოყოფს ქალთა გადამწყვეტ როლს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიმართულებით. კონვენციის მე-7 მუხლის მიხედვით განსაზღვრულია, რომ მონაწილე სახელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას იღებენ რათა ქალებმა შეძლონ:

- ისარგებლონ აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებით (ხმა მისცენ და იყვნენ არჩეული სხვადასხვა საჯარო ორგანოში);
- მონაწილეობდნენ მთავრობის პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების ყველა პროცესში, ხელისუფლების ყველა დონეზე;
- მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების და ასოციაციების საქმიანობაში.

კონვენციის მე-8 მუხლი აძლიერებს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გლობალურ განზომილებას, საერთაშორისო დონეზე მათი წარმომადგენლობის მოთხოვნით. კერძოდ, ქალებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, რათა წარმოადგენდნენ თავიანთ მთავრობას საერთაშორისო დონეზე და მონაწილეობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში.

კონვენციით განმტკიცებული უფლებების დეტალური განმარტებისთვის CEDAW კომიტეტის მიერ მიღებული იქნა ზოგადი რეკომენდაციები 23 და 25, რომელებიც ქალთა მონაწილეობის საკითხებს შეეხება. კომიტეტის 23-ე რეკომენდაცია განიხილავს ქალთა პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის ბარიერებს, მათ შორის, ისტორიულ ფაქტორებს და სახელმწიფოთა მიერ ქმედითი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობაზე მიუთითებს, მათ შორის, დროებითი სპეციალური ღონისძიებების, კანონმდებლობის გაუმჯობესების და პრაქტიკაში თანასწორობის პრინციპების ეფექტური ინტეგრაციისთვის. ამასთან, რეკომენდაცია გამოყოფს ქალთა იმ ჯგუფებს, რომელთაც სხვადასხვა გარემოების (ენის არ ცოდნა, გეოგრაფიული მისაწვდომობის პრობლემა და სხვა) სხვა ქალებთან თანასწორად არ შეუძლიათ აღნიშნული უფლებით სარგებლობა.[24] ამასთან, კომიტეტის 25-ე რეკომენდაცია დროებითი სპეციალური ზომების გამოყენების მნიშვნელობაზე და მისი გამოყენების პირობებზე საუბრობს.[25]

24 ზოგადი რეკომენდაცია N23 პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება. 1997

25 ზოგადი რეკომენდაცია N25 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-4 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, დროებითი სპეციალური ზომები

ქალთა პოლიტიკური და გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობის გამოწვევები საქართველოში:

- 2023 წლის მონაცემებით, საქართველოს პარლამენტის წევრთა შორის მხოლოდ 19%-ია ქალი.
- ქალები იკავებენ მინისტრთა შორის 16.7%-ს და მინისტრის მოადგილეების 23.5%-ს.
- საჯარო სამსახურში დასაქმებულთა შორის 31% ქალია. მათგან, ქალები შეადგენენ საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელების მხოლოდ 9 პროცენტს და საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელის მოადგილეების 15 პროცენტს.
- 2022 წელს ქალები შეადგენენ მოსამართლეთა 55%-ს. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოში ცხრა მოსამართლიდან მხოლოდ სამია ქალი. ხოლო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს შორის ქალების წილი 39%-ს შეადგენს.

5.2. ქალთა ეკონომიკური მონაწილეობა და შრომის უფლება

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება გენდერული თანასწორობის მიღწევის განუყოფელი ნაწილია. CEDAW კონვენციის მე-11 მუხლი აღიარებს ქალთა ფუნდამენტურ უფლებას იმუშავონ და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ეკონომიკურ სფეროში. მათ შორის, ხაზს უსვამს შრომის უფლების როგორც ყველა ადამიანის განუყოფელი უფლების მნიშვნელობას და ამ უფლების განხორციელებისთვის შესაბამისი პირობების არსებობის აუცილებლობას. მაგალითისთვის, სამუშაო ადგილზე შერჩევისას ნათელი და არადისკრიმინაციული პროცედურების არსებობას, თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის უზრუნველყოფას და სხვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კონვენცია ყურადღებას ამახვილებს შრომის უსაფრთხოების და სოციალური დაცვის გარანტიების, მათ შორის, ღირსეული პენსიის, ანაზღაურებადი შვებულების და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე.

ქალთა ეკონომიკური მონაწილეობის გამოწვევები საქართველოში:

- ქალებს ეკისრებათ არაპროპორციული ტვირთი საშინაო და მზრუნველობითი სამუშაოს განხორციელებისთვის. ქალები შინ შრომაზე ხარჯავენ ხუთჯერ მეტ დროს, ვიდრე კაცები.
- ქალთა ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებელი 41.5%-ს შეადგენს. 25-34 წლის ქალთა თითქმის ნახევარი (46.4%) ეკონომიკურად არააქტიურია.
- დაბალია ქალების წარმომადგენლობა საწარმოთა მფლობელებსა და მენეჯერებს შორის. 2022 წელს დაარსებულ საწარმოებს შორის მხოლოდ 24.7%-ს ჰყავდა ქალი მფლობელი.
- 2022 წლის მდგომარეობით, საქართველოში დასაქმების მიმართულებით გენდერულმა სხვაობამ უმაღლეს ნიშნულს მიაღწია, 16.2%-ს ყველა ასაკობრივ ჯგუფში. ამასთან, კვლავ მაღალია თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების სხვაობა, რომელიც 23%-ს აღწევს.

5.3. ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა

მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია ცალკე მდგომ მუხლად არ გამოყოფს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხს, სხვადასხვა მუხლის ფარგლებში გამჭოლ ხაზად გასდევს ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მოწოდება. მათ შორის, კონვენციის მე-5 მუხლი რომელიც სტერეოტიპების და საზიანო პრაქტიკების აღმოფხვრის აუცილებლობაზე მიუთითებს. მე-16 მუხლი, რომელიც ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობებში თანასწორობის საკითხს უსვამს ხაზს და სხვა.

როგორც ზემოთ აღინიშნა კონვენციის განხორციელება დინამიური პროცესია და მისი სულისკვეთების განმარტება ხშირად ზოგადი რეკომენდაციების მეშვეობით ხდება. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის მიმართულებით აღსანიშნავია კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციები ქალთა მიმართ და გენდერული ნიშნით ძალადობის და საზიანო პრაქტიკების შესახებ[26], ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობებში თანასწორობის[27] და მართლმსაჯულებაზე წვდომის შესახებ.[28]

5.4. სოციალური უფლებები: ჯანმრთელობა და განათლება

განათლება და ჯანმრთელობის უფლებები ქალების კეთილდღეობისა და გაძლიერების ფუნდამენტური საყრდენია. კონვენციის მე-10 მუხლი განსაზღვრავს ქალთა უფლებას, მიიღონ განათლება კაცებთან თანაბარ პირობებში, ამასთან, სახელმწიფოებს მოუწოდებს უზრუნველყონ ბარიერების აღმოფხვრა ქალებისთვის განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის.

კონვენციის მე-12 და მე-13 მუხლები მოიცავს ქალთა უფლებას ჰქონდეთ მისაწვდომობა ჯანდაცვის, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე და სხვა სოციალურ სერვისებზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კონვენციის მე-14 მუხლი ხაზს უსვამს კონკრეტულ გამოწვევებს სოფლად მცხოვრები ქალების წინაშე და მოუწოდებს სახელმწიფოებს მიზნობრივი ზომების მიღებისკენ ამ უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. მნიშვნელოვანია რომ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციები 26[29] და 34[30] წარმოადგენს სტრატეგიული რეაგირების ჩარჩო დოკუმენტს სახელმწიფოებისთვის სოციალური უფლებების ეფექტიანი რეალიზებისთვის ქალთა მოწყვლადი ჯგუფებისთვის როგორიცაა მიგრანტი და სოფლად მცხოვრები ქალები.

26 რეკომენდაციები 19, 35 და 31

27 რეკომენდაციები 21 და 29

28 რეკომენდაცია 33

29 ზოგადი რეკომენდაცია N26. შრომითი მიგრანტი ქალები. 2008.

30 ზოგადი რეკომენდაცია N34 სოფლად მცხოვრებ ქალთა უფლებების შესახებ. 2016.

6. სახელმწიფოთა ვალდებულებები კონვენციის განხორციელების პროცესში

6.1. ზოგადი ვალდებულებები

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის მე-2 მუხლი დეტალურად განსაზღვრავს სახელმწიფოთა ვალდებულებებს კონვენციით დაცული უფლებების განხორციელების ხელშეწყობისთვის. ამასთან, თემატური რეკომენდაციების შემუშავების გზით კომიტეტი მეტად დეტალურ მითითებებს იძლევა სხვადასხვა საკითხზე სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესახებ.

კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით მონაწილე სახელმწიფოები გმობენ ქალთა ყველა ფორმის დისკრიმინაციას, თანახმა არიან დაუყოვნებლივ ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით გაატარონ ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის პოლიტიკა და ამ მიზნით ვალდებულებას კისრულობენ:

- მოახდინონ ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია კონვენციით დადგენილ თანასწორობის პრინციპთან
- მიიღონ შესაბამისი კანონმდებლობა და ზომები ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრისათვის
- უზრუნველყონ ქალთა მისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე და შესაბამისი სერვისები
- უზრუნველყონ სახელმწიფო დაწესებულებათა და ორგანოების ფუნქციონირება თანასწორობის პრინციპების დაცვით
- უზრუნველყონ დისკრიმინაციის აღმოფხვრა კერძო სფეროში
- მოახდინონ არსებული წინასწარგანწყობების, ჩვევების თუ ნორმების ცვლილება, რომლებიც ხელს უწყობენ ქალთა მიმართ დისკრიმინაციას.

კონვენციის მე-2 მუხლში მითითებული „შესაბამისი საშუალებები“ და „შესაბამისი ზომები“ მოიცავს ყველა იმ საშუალებას, რაც უზრუნველყოფს რომ მონაწილე სახელმწიფო[31]:

პატივისცემა

თავს შეიკავებს ნებისმიერი პრაქტიკის, პოლიტიკის ან ზომების შესრულების, დაფინანსების და ხელშეწყობისაგან, რომლებიც არღვევენ კონვენციას.

დაცვა

გადადგამს ნაბიჯებს, რომ ხელი შეუშალოს, აკრძალოს და დასაჯოს კონვენციის დარღვევა მესამე პირების მიერ, მათ შორის სახლში და საზოგადოებაში და უზრუნველყოს კომპენსაცია ასეთი დარღვევებით დაზარალებულებისათვის.

ხელშეწყობა

ხელს უწყობს კონვენციის მიხედვით მისი ვალდებულებების შესახებ და მხარდასაჭერად ცოდნის გაფართოებას.

შესრულება

იღებს დროებით სპეციალურ ზომებს, რომლებიც მიაღწევენ სქესის მიხედვით დისკრიმინაციის აღმოფხვრის და გენდერულ თანასწორობას პრაქტიკაში.

კომიტეტის განმარტებით ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულებას გამჭოლ ხაზად უნდა გასდევდეს. კერძოდ, კონვენციის ეფექტური განხორციელება მოითხოვს, რომ წევრი ქვეყნები იყვნენ ანგარიშვალდებულნი მისი მოქალაქეებისა და საზოგადოების სხვა წევრების მიმართ ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. იმისათვის, რომ ანგარიშვალდებულების ეს ფუნქცია ეფექტურად მუშაობდეს, შესაბამისი მექანიზმები და ინსტიტუტები უნდა იქნას გამოყენებული.[32]

6.2. პარლამენტის როლი

პარლამენტს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი აკისრია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის ეროვნულ დონეზე აღსრულების მიმართულებით. უპირველესად, კონვენციის რატიფიცირებას სწორედ პარლამენტი ახდენს, ხოლო შემდგომ ეროვნული კანონმდებლობის კონვენციასთან შესაბამისობის დადგენის, თუ კონვენციის პრაქტიკაში აღსრულების მიმართულებით პარალამენტს არანაკლები როლი აკისრია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პარლამენტის საზედამხედველო ფუნქცია და მისი გამოყენება კონვენციის განხორციელების მონიტორინგისთვის. ერთი მხრივ თემატურ კომიტეტებში

31 Ibid. Para 37.

32 ზოგადი რეკომენდაცია N28 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მეორე მუხლის მიხედვით წევრი ქვეყნების ძირითადი ვალდებულებები. 2010. Para 40.

შესაბამისი მოსმენების, საჯარო განხილვების თუ შეხვედრების ორგანიზებით, ხოლო მეორე მხრივ სამთავრობო უწყებების მოსმენების ორგანიზებისთვის სხვადასხვა მნიშვნელოვან გამოწვევაზე, როგორიც შესაძლოა იყოს ქალთა ეკონომიკური მონაწილეობა, ქალთა მიმართ ძალადობა და სხვა.

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს პარლამენტის როლი CEDAW კომიტეტთან ანგარიშგების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშის მომზადება მთავრობის დონეზე ხდება, კომიტეტში გაგზავნამდე ანგარიში დასამტკიცებლად საქართველოს პარლამენტს წარედგინება, ამასთან, პარლამენტს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს კომიტეტის მიერ გაცემული შემაჯამებელი დასკვნების შესრულებაზე მიდევნების პროცესში.

ამასთან, გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის გასატარებელი აუცილებელი ზომები, მათ შორის კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება ხშირად შესაბამის ბიუჯეტს და ფინანსურ რესურსებს მოითხოვს. შესაბამისად, პარლამენტს შეუძლია ზედამხედველობა გაუწიოს ბიუჯეტის დამტკიცების პროცესში მასში გენდერული თანასწოორობის საკითხების ინტეგრირებას.

პარლამენტს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს კოორდინაციის და თანამშრომლობის მიმართულებით, კერძოდ, შექმნას პლატოფრმა რომელიც უზრუნველყოფს ხელისუფლების სხვადასხვა შტოს, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობას კონვენიციის განხორციელების საკითხებზე.

CEDAW კონვენციასთან მიმართებით პარლამენტის როლი შესაძლოა შემდეგგვარად გამოიყოს:

- რატიფიცირება
- კანონმდებლობის ჰარმონიზაცია
- საპარლამენტო ზედამხედველობა

6.3. ადამიანის უფლებადაცვითი ეროვნული ინსტიტუტების როლი

ადამიანის უფლებადაცვით ეროვნულ ინსტიტუტებს განსაკუთრებული როლი ენიჭებათ როფორც CEDAW კომიტეტისადმი ალტერნატიული ანგარიშის წარდგენის და ინფორმაციის მიწოდების, ისე ეროვნულ დონეზე კონვენციის განხორციელების მონიტორინგის ჩატარების მიმართულებით. მაგალითისთვის, საქართველოს სახალხო დამცველის უნიკალური მანდატი შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს დამოუკიდებელი მონიტორინგი სახლემწიფო სერვისების, სახელმწიფო პროგრამების და მათ შორის კერძო სუბიექტების მიმართ (დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე). ინფორმაციასა და მასალებზე ფართო წვდომა, ამასთან დახურულ და თავისუფლებააღკვეთის დაწესებულებებში პირთა მონახულების და მონიტორინგის შესაძლებლობა, ინსტიტუტს მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს კომიტეტისთვის სრულყოფილი, დამოუკიდებელი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის მისაწოდებლად.

კომიტეტსა და ადამიანის უფლებადაცვით ეროვნულ ინსტიტუტებს (NHRIs) შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, კომიტეტმა თავის 69-ე სესიაზე ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი NHRI-ების შესახებ, რომელთან ერთადაც შემუშავდა დოკუმენტი თანამშრომლობის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო წესები კომიტეტთან თანამშრომლობისთვის.[33]

6.4. არასამთავრობო ორგანიზაციების როლი

არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კომიტეტის ანგარიშგების პროცესში. მათ მიერ მომზადებული დოკუმენტები კომიტეტს სთავაზობს ალტერნატიულ პერსპექტივას სახელმწიფოს პროგრესის შესახებ CEDAW კონვენციის განხორციელების მიმართულებით. ამასთან, განუზომელია მათი წვლილი ეროვნულ დონეზე პოზიტიური ცვლილებების ადვოკატირების, პრობლემების გაჟღერების და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოები იაზრებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების ამ მნიშვნელოვან როლს და ხელს უწყობდნენ მათთან თანამშრომლობის და კოორდინაციის ეფექტიანი სისტემების ჩამოყალიბებას.

CEDAW კომიტეტი მიესალმება სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ანგარიშების წარდგენას. კომიტეტისთვის აღნიშნული ანგარიშები დამატებითი წყაროა დეტალური ინფორმაციის მისაღებად ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ხდება ანგარიშის ფორმის შერჩევა, იქნება ის ჩრდილოვანი, თუ ალტერნატიული. ჩრდილოვანი ანგარიშის მომზადება შესაძლებელია თუ ორგანიზაციას წვდომა აქვს მთავრობის მიერ მომზადებულ ანგარიშზე და ერთგავარად პასუხობს იქ ასახულ საკითხებს. ალტერნატიულია ანგარიში, რომელიც მთავრობის ანგარიშისგან დამოუკიდებლად მზადდება და არის ყოვლისმომცველი. ეხმიანება კონვენციის ყველა მუხლს ან რამდენიმე პრიორიტეტულ საკითხს, თუმცა ჩრდილოვანისგან განსხვავებით არ ეხმიანება მთავრობის ანგარიშში წამოჭრილ საკითხებს.

ანგარიში უნდა გაიგზავნოს გაიგზავნოს ელექტრონული ფოსტით (pdf ფორმატში) და შემდეგ ფოსტით. ანგარიშის წარდგენის საბოლოო ვადა, როგორც წესი, საკომიტეტო სესიის დაწყებამდე ორი კვირით ადრე იწურება.[34]

არასამთავრობო ორგანიზაციებს შესაძლებლობა აქვთ დაესწრონ კომიტეტის წინასწარ სესიას, რომელიც მიზნად ისახავს ანგარიშთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტებას. რა დროსაც მათ შეუძლიათ მოხსენებით წარსდგნენ კომიტეტის წინაშე. წინასწარი სხდომა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის განსაზღვრავს ძირითად მიმართულებას, ტონს და საკითხებს, ასევე სივრცეს ქმნის დიალოგისთვის კომიტეტს, მთავრობას და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. აღნიშნული არის წინა ეტაპი რა დროსაც არასამთავრობო ორგანიზაციებს შესაძლობა აქვთ დიალოგი აწარმოონ კომიტეტთან და გააჟღერონ რეკომენდაციები და მოსაზრებები.

33 დოკუმენტი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://www.ohchr.org/en/treaty-bodies/cedaw/guidelines-civil-society-ngos-and-nhris

34 ანგარიშგების პერიოდი, დედლაინები და დეტალური წესები შეგიძლიათ ნახოთ კომიტეტის კონკრეტული სესიის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებისას.

ამასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებს შესაძლებლობა აქვთ დაესწრონ კომიტეტის სასესიო განხილვას და ისარგებლონ ზეპირი მოხსენების უფლებით.

6.5. კონვენციის განხორციელების ბარიერები

მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის მყარ ჩარჩოს, მრავალი ბარიერი აფერხებს მის ეფექტურ განხორციელებას. **კულტურული და სოციალური ნორმები** ხშირად მნიშვნელოვან გამოწვევას ქმნის კონვენციის განხორციელებისთვის. მათ შორის, დამკვიდრებული სტერეოტიპული შეხედულებები და დისკრიმინაციული განწყობები, რაც შესაძლოა ქალთა სხვადასხვა ჯგუფების გარიყვას უწყობდეს ხელს. (მაგალითისთვის, ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ქალების მიმართ არსებული სტიგმა, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების მიმართ არსებული წინასწარგანწყობები და სხვა).

კონვენციის განხორციელების მნიშვნელოვანი დაბრკოლება **ინფორმირებულობისა და რესურსების ნაკლებობაშიც გამოიხატება.** ხშირ შემთხვევაში, კონვენციით დადგენილი ვალდებულებების, კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების თუ ზოგადად უფლებების შესახებ მწირი ინფორმაციის გამო კონვენციის განხორციელება პრაქტიკაში ეფექტიანად ვერ ხორციელდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოების დამოკიდებულების და განწყობების ცვლილებისკენ მიმართული საინფორმაციო კამპანიების წარმოება, რაც ხელს შეუწყობს დისკრიმინაციული პრაქტიკების აღმოფხვრას და სტერეოტუპების შემცირებას საზოგადოებაში.

ზუსტი და დეტალური მონაცემები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებისა და მიღწეული პროგრესის მონიტორინგისთვის. მონაცემთა შეგროვების ხარვეზები აფერხებს გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის გავლენის შეფასებას. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების წარმოება, ანალიზი და გამოყენება პოლიტიკის, პროგრამების თუ ინიციატივების დაგეგმვისა და განხორციელების ყველა ეტაპზე.

საზოგადოების **მონაწილეობის და ჩართულობის** გამოწვევები კიდევ ერთ მნიშვნელოვან ბარიერად შეგვიძლია განვიხილოთ. ხშირ შემთხვევაში, ქალთა გარკვეულ ჯგუფებს არ ეძლევათ შესაძლებლობა თავად იყვნენ გადაწყვეტილების მიღების ცენტრში და სწორედ მათ გამოცდილებას ეფუძნებოდეს სახელმწიფო პოლიტიკის თუ კანონმდებლობის მიღება და დამტკიცება, სოფლად მცხოვრები, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები ხშირად არ მონაწილეობენ მსგავს პროცესებში და შესაბამისად, მიღებული გადაწყვეტილებები არსებით გავლენას ვერ ახდენს მათ წინაშე არსებული პრობლემების აღმოფხვრაზე და ვერც პრობლემათა ინტერსექციურ პრიზმაში დანახვის შესაძლებლობას იძლევა. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოთა მიერ მოქალაქეთა ჩართულობის და მონაწილეობის პლატფორმების განვითარება, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების გაზრდა და შედეგებზე ეფექტიანი მიდევნების მექანიზმების დანერგვა.

7. კონვენციის ეფექტიანი განხორციელების ინდიკატორები

ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყებები
კანონმდებლობა და პოლიტიკა	
ეროვნული კანონმდებლობა ჰარმონიზებულია CEDAW კონვენციასთან.	საქართველოს პარლამენტი
☐ დიახ ☐ არა	
მთავრობის დონეზე შექმნილია საკოორდინაციო მექანიზმი, რომელსაც აქვს მკაფიო მანდატი, საკმარისი დაფინანსება და უფლებამოსილება გენდერული თანასწორობის საკითხების მეინსტრიმინგისთვის.	საქართველოს მთავრობა
მექანიზმი შექმნილია	☐ დიახ ☐ არა
მანდატი და უფლებამოსილება განსაზღვრულია	☐ დიახ ☐ არა
საკმარისი დაფინანსება გამოყოფილია	☐ დიახ ☐ არა
ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე საკონსულტაციო მექანიზმები შექმნილია და ითვალისწინებს ქალთა სხვადასხვა ჯგუფების მონაწილეობას.	ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოები
მექანიზმები შექმნილია	☐ დიახ ☐ არა
ქალთა მონაწილეობა უზრუნველყოფილია	☐ დიახ ☐ არა
შექმნილია სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვების და ანალიზის მექანიზმი, როგორც უწყებრივ, ისე სახელმწიფო დონეზე.	საქართველოს მთავრობა
მექანიზმი შექმნილია	☐ დიახ ☐ არა
სტატისტიკური მონაცემები სეგრეგირებულია	☐ დიახ ☐ ნაწილობრივ ☐ არა
სახელმწიფო უწყებებსა და დაწესებულებებს გამოეყოფათ სათანადო ბიუჯეტი სერვისებისა და აქტივობების განსახორციელებლად.	საქართველოს მთავრობა
☐ დიახ ☐ არა	
განგრძობითად მიმდინარეობს საჯარო სექტორში მომუშავე ადამიანთა გადამზადება გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების საკითხებზე.	საქართველოს მთავრობა ადმინისტრაციული ორგანოები
☐ დიახ ☐ არა	

დაგეგმილია და ხორციელდება ცნობიერების ასამაღ-ლებელი კამპანიები და აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრას და თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას	საქართველოს მთავრობა
☐ დიახ ☐ არა	
კონვენციის ეროვნულ დონეზე განხორციელება	
ხორციელდება ქალთა ადამიანის უფლებების და CEDAW კონვენციის შესახებ ცნობიერების ამაღლება სახელმწი-ფო უწყებების და სამოქალაქო საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლობებს შორის.	საქართველოს მთავრობა
☐ დიახ ☐ არა	
გაზრდილია მთავრობის და სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის ქალთა ორგანიზაციების შესაძლებლობები CEDAW კონვენციით დაცული უფლებების განხორცი-ელების ხელშეწყობისთვის, როგორც ეროვნულ ისე ადგილობრივ დონეზე.	საქართველოს მთავრობა
☐ დიახ ☐ არა	
სასამართლო პრაქტიკაში კონვენციის გამოყენების მაჩვენებელი გაზრდილია. მოსამართლეებს აქვთ ცოდნა და იციან როგორ გამოიყენონ კონვენცია მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.	სასამართლო ხელისუფლება
☐ დიახ ☐ არა	
არსებობს ეფექტური თანამშრომლობა მთავრობას, სამოქალაქო საზოგადოებას და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის CEDAW კონვენციის განხორციელების მიზნით.	საქართველოს მთავრობა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები საერთაშორისო ორგანიზაციები
☐ დიახ ☐ არა	
შექმნილია და ეფექტიანად ფუნქციონირებს CEDAW კონვენციის განხორციელების მონიტორინგის მექანიზმი როგორც სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ისე ადამიანის უფლებადაცვითი ეროვნული ინსტიტუტის დონეზე.	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები
☐ დიახ ☐ არა	

8. დასკვნა

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის განხორციელების გზაზე აღნიშნული სახელმძღვანელო დაინტერესებულ პირებს სთავაზობს ყოვლისმომცველ ინფორმაციას კონვენციის, მისი თანმდევი დოკუმენტების ძირითადი პრინციპების და პრაქტიკაში დანერგვისთვის აუცილებელი მითითებების შესახებ.

სახელმძღვანელო ასახავს არამხოლოდ გამოწვევებს, არამედ სტრატეგიულ ნაბიჯებს და მოქმედებათა გეგმას კონვენციის პრაქტიკაში ეფექტიანად განხორციელებისთვის, რაც თავის მხრივ ქვეყანაში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის და ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების გარანტია.

ქალთა მიმართ დისკრიმინაცის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის პრინციპების, მისი აღსრულების გზების, ბარიერების თუ შესრულებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობების შესახებ დეტალური ინფორმაციით სახელმძღვანელო მიზნად ისახავს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისთვის მოქნილი და გამოწვევების გადალახვისთვის აუცილებელი ნაბიჯების ამსახველი დოკუმენტის შეთავაზებას. ამასთნ, სახელმძღვანელო ყველა დაინტერესებული პირისთვის იქნება მისაწვდომი, რადგან გენდერული თანასწორობის მიღწევას სწორედ უწყებათშორის, სექტორთაშორის და თემებს შორის თანამშრომლობით ვუზრუნველყოფთ.

CEDAW არ არის სტატიკური დოკუმენტი; ეს არის ტრანსფორმაციული ცვლილებების ცოცხალი მაგალითი, რომელიც მუდმივად ძლიერდება ზოგადი რეკომენდაციებით და განმარტებებით, სწორედ ამიტომ სახელმძღვანელო კონვენციასთან ერთად სხვა თანმდევი დოკუმენტების ანალიზსაც მოიცავს.

CEDAW კონვენციის სულისკვეთებით, დაე, ეს სახელმძღვანელო იყოს ტრანსფორმაციული ქმედებების კატალიზატორი, რომელიც წვლილს შეიტანს საქართველოში გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერების დთის წესრიგის გაძლიერებაში.

დანართი N1: CEDAW კონვენციის მოკლე მიმოხილვა

	მუხლი	შინაარსი
	1. დისკრიმინაციის განმარტება	ქალთა დისკრიმინაცია მოიცავს ნებისმიერ განსხვავებას, გამორიცხვას ან შეზღუდვას, რომელიც გავლენას ახდენს ქალთა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამოქალაქო ან ნებისმიერი სხვა უფლებებით თანაბარ სარგებლობას.
	2. სახელმწიფოს ვალდებულებები	სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ კანონები და რეგულაციები, განახორციელონ პოლიტიკა და შეცვალოს პრაქტიკა ქალების დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად.
	3. თანასწორობა	სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა ქალებმა ისარგებლონ ადამიანის ძირითადი უფლებებით და ძირითადი თავისუფლებებით.
	4. დროებითი სპეციალური ზომები	ფაქტობრივი თანასწორობის დამყარების დასაჩქარებლად მიღებული დროებითი სპეციალური ზომები (მაგალითად, კვოტირების მექანიზმი).
	5. გენდერული როლები და სტერეოტიპები	შესაბამისი ზომების მიღება გენდერული სტერეოტიპების, წინასწარგანწყობების და პრაქტიკების აღმოსაფხვრელად.
	6. ტრეფიკინგი და ექსპლუატაცია	მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა, მათ შორის საკანონმდებლო ქალთა ტრეფიკინგის აღმოსაფხვრელად.
	7. პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება	ქალებს აქვთ ხმის მიცემის, საჯარო თანამდებობის დაკავების და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების საქმიანობაში მონაწილეობის თანაბარი უფლებები.
	8. მონაწილეობა საერთაშორისო დონეზე	ქალებს უნდა შეეძლოთ წარმოადგინონ თავიანთი ქვეყანა საერთაშორისო დონეზე და იმუშაონ საერთაშორისო ორგანიზაციებში/თან.
	9. მოქალაქეობა	ქალებს აქვთ კაცებთან თანაბარი უფლებები, შეიძინონ, შეცვალონ ან შეინარჩუნონ მოქალაქეობა და მიიღონ გადაწყვეტილება საკუთარი შვილების მოქალაქეობაზე.
	10. თანაბარი უფლებები განათლებაში	ქალებს აქვთ თანაბარი უფლებები განათლეის სფეროში, მათ შორის პროფესიული განათლების, სტიპენდიების მიღების. სასწავლო კურიკულუმები არ უნდა მოიცავდეს დისკრიმინაციულ საკითხებს.
	11. დასაქმება	ქალებს აქვთ მუშაობის უფლება, დასაქმების შესაძლებლობები უნდა იყოს თანასწორი, მათ შორის უზრუნველეკყოფილი უნდა იყოს თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურება, პროფესიისა და დასაქმების ადგილის თავისუფალი არჩევანი, სოციალური უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა.

	12. ჯანდაცვა და ოჯახის დაგეგმვა	სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ქალებს შესაბამისი მომსახურებით ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში, აუცილებლობის შემთხვევაში, გაუწევენ უფასო მომსახურებას, ასევე, ორსულობისა და მეძუძურობის პერიოდში უზრუნველყოფენ შესაბამისი კვებით.
	13. ეკონომიკური და სოციალური უფლებები	ქალებს აქვთ თანაბარი უფლებები საოჯახო შეღავათებზე, ფინანსურ კრედიტზე. ასევე, უფლება მონაწილეობა მიიღონ რეკრეაციულ აქტივობებში, მათ შორის, სპორტულ და კულტურულ ცხოვრებაში.
	14. სოფლად მცხოვრები ქალები	სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამისი ზომას სოფლად მცხოვრებ ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რათა უზრუნველყონ მათი მონაწილეობა სოფლის განვითარებაში და მისგან სარგებლის მიღებაში. ხელი მიუწვდებოდეთ განათლებაზე, ჯანდაცვაზე, ტრანსპორტზე და აგრარულ კრედიტებსა თუ სესხებზე.
	15. თანასწორობა კანონის წინაშე	მონაწილე სახელმწიფოები კაცებს და ქალებს ანიჭებენ თანაბარ უფლებებს კანონის წინაშე, რომელიც ეხება პირთა გადაადგილებას და საცხოვრებელი ადგილისა და ბინადრობის არჩევის თავისუფლებას. ასევე, თანაბარ უფლებებს ხელშეკრულებების დადებისას და ქონების მართვისას.
	16. ქორწინება და ოჯახი	ქორწინების თანაბარი უფლებები, ბავშვთა და ადრეულ ასაკში ქორწინების აკრძალვა. შვილებთან დაკავშირებული უფლებების თანასწორობა.
	მუხლები 17–23	კომიტეტის საქმიანობა და პროცედურები
	მუხლები 23–30	კონვენციის ძალაში შესვლის და გახორციელების ადმინისტრირება და განმარტებები.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women)
საქართველოს წარმომადგენლობა
ფალიაშვილის ქუჩა 87, ოფისი 4, 0179
თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 222 06 04
(+995 32) 222 08 70

www.unwomen.org
georgia.unwomen.org